მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №41

2022 წლის 29 აპრილი

ქ. მარტვილი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტისა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის თანახმად:

1. ,,სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტისა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშების თაობაზე“ 2022 წლის 25 თებერვლი №10/36 და 2022 წლის 1 მარტის №12/36 ანგარიშებში მოყვანილი ფაქტები და აუდიტის სამსახურის მიერ გამოთქმული შენიშვნები გათვალისწინებულ იქნეს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის მიერ.
2. განკარგულება გადაეგზავნოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა